ჩემპიონატი

პირველი კალენდარული მატჩები

მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს “ა” ჯგუფის 14 და “ბ” ჯგუფის 13 სანიმუშო გუნდი, დაიწყება 2 მაისს.

ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან თბილისში – **ლენინგრადის “ზენიტი” და თბილისის “დინამო”.**

2 მაისის მატჩში ლენინგრადელები ითმაშებენ შემდეგი შემადგენლობით: გრიშჩენკო, ივინი, ლებედევი, მედვედევი, ოდინცოვი, ბოდროვი, შელაგინი, ლარიონოვი და სხვ.

თბილისის “დინამოს” შემადგენლობაში იქნებიან: ტყეებუჩავა, კიკნაძე, შავგულიძე, გაგუა, ფროლოვი, ბერძენიშვილი, ჯეჯელავა, პანიუკოვი, პაიჭაძე, ბერეჟნოი და ხარბედია.

3 მაისს ამავე სტადიონზე ჩატარდება მორიგი შეჯიბრება სსრკ პირველობაზე ფეხბურთში. ითამაშებენ: ლენინგრადის “დინამოსა” და თბილისის “ლოკომოტივის” გუნდები.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 1 მაისი, 1940 წ.